GEORGIA CAPITAL

9 სექტემბერი 2025

სს „საქართველოს კაპიტალი“ სარგებლობს მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების ნაადრევად გამოსყიდვის ოფციით

სს "საქართველოს კაპიტალი" აცხადებს, რომ ისარგებლებს ობლიგაციების ნაადრევად გამოსყიდვის ოფციით პროსპექტის „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-7(დ) ქვეპუნქტის შესაბამისად და ნაადრევად გამოისყიდის 98,057,000* აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციებს მისი 148,057,000* აშშ დოლარის ჯამური ნომინალური ღირებულების მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციებიდან (ISIN: GE2700604475). ობლიგაციების გამოსასყიდი ფასის გამოთვლა მოხდება შემდეგნაირად: (i) ძირი თანხის 101.70%, დამატებული (ii) პროსპექტში აღწერილ "მდგრადობის შესრულების მიზანთან" დაკავშირებული პრემია ძირი თანხის 0.30%-ის სახით, და დამატებული (iii) გადახდის თარიღამდე დაგროვილი და გადაუხდელი საპროცენტო სარგებელი.

ობლიგაციების გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღად განისაზღვრა 23 სექტემბერი 2025, ანგარიშსწორების თარიღად კი 26 სექტემბერი 2025.

*1,943,000 აშშ დოლარს ოდენობის ჯამური ნომინალური ღირებულების (1,943 ერთეული) მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციის გამოკლებით, რომლებიც წინამდებარე განცხადების თარიღისთვის ინახება სს "საქართველოს კაპიტალის" სახაზინო ანგარიშზე და რომელთა გაუქმებაც მოხდება ზემოხსენებულ ანგარიშსწორების თარიღამდე. შესაბამისად, ანგარიშსწორების თარიღის შემდეგ, მდგრადობასთან დაკავშირებული ობლიგაციების დარჩენილი ძირითადი თანხა განისაზღვრება 50,000,000 აშშ დოლარით.

დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, მიმართეთ:

გალტ & თაგარტი: sales@gt.ge
თიბისი კაპიტალი: sales&trading@tbccapital.ge
სს "საქართველოს კაპიტალის" ინვესტორებთან ურთიერთობა: ir@gcap.ge

ხელმოწერა

გიორგი ალფაიძე
გენერალური დირექტორის მოადგილე
სს "საქართველოს კაპიტალი"

GEORGIA CAPITAL • სს საქართველოს კაპიტალი
404549690

Georgia Capital JSC
ID Number: 404549690
8a P Melikishvili Str. / 1 E. Tatishvili Str; Tbilisi 0179, Georgia
www.georgiacapital.ge